ბრძანება:**ბ94. 94232263**
თარიღი:**14/08/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის, მართვის უფლებით 29 წლის ვადით გადაცემაზე პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 124-ე მუხლის, 125-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 126-ე მუხლის, 127-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების", „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №24 დადგენილების, „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის Nგ-95.95232092 განკარგულების, *სსიპ „ლევან* სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დასკვნისა (№003614923; 30.05.2023 წლის) და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის (გ. წითელაძე) 2023 წლის 11 აგვისტოს №08-942322328 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის, მართვის უფლებით 29 წლის ვადით გადაცემაზე დანართი №1-ის (თან ერთვის) შესაბამისად.

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის აღწერილობა, წილის საწყისი მართვის უფლებით გადაცემის საფასური, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/"ბე" და „ბიჯი"-ს ოდენობა განისაზღვროს თანახმად დანართი №1-სა.

3. ფასის თაობაზე შემოთავაზებული საბოლოო თანხა (ბიჯი), რომლითაც გამოვლინდება გამარჯვებული ემატება წილის საწყის მართვის უფლებით გადაცემის ფასს და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო წილის მართვის უფლებით გადაცემის ფასს.

4. აუქციონში გამარჯვებულს წინასწარ „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა ეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბოლო წლის გადასახდელი მართვის უფლებით გადაცემის საფასურის ოდენობაში.

5. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება.

6. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სრულად შეასრულოს შემდეგი სააუქციონო პირობები:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლის ვადაში კლუბის ასპარეზობა მე-3 ლიგაში;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წლის ვადაში კლუბის ასპარეზობა მე-2 ლიგაში. კლუბმა უნდა შეინარჩუნოს წილის მართვისა და სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში (შესაბამისი მართვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის შემდეგ) არანაკლებ ლიგა 2-ში მონაწილეობის უფლება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სტანდარტების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ კლუბი დაქვეითდება ლიგა 3-ში, არაუგვიანეს დაქვეითებიდან 1 წლის განმავლობაში უზრუნველყოს კლუბის ლიგა 2-ში დაბრუნება;

გ) უზრუნველყოს საფეხბურთო კლუბის მუდმივად უეფა-ს და ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებისა და სტანდარტების მიხედვით ფუნქციონირება;

დ) კლუბი ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის დადგენილი ლიცენზირება და მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ჩემპიონატებში;

ე) ყოველწლიურად უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგებისა და ვალდებულებების შესრულების შესახებ აუდიტორული დასკვნების წარმოდგენა. დასკვნა გაცემული უნდა იყოს აუდიტორი/აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;

ვ) წილის მმართველს არ აქვს უფლება წილის მესაკუთრის (ამ შემთხვევაში ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო) თანხმობის გარეშე შეცვალოს კომპანიის სახელი, ლოგო, გერბი ან/და სხვა სამართლებრივი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;

ზ) წილის მმართველს არ აქვს უფლება წილის მესაკუთრის თანხმობის გარეშე დათმოს/გაასხვისოს/განკარგოს წილის მართვის უფლება;

თ) წილის მმართველს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ გაასხვისოს/შეიძინოს ფეხბურთელი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) აუქციონში გასმარჯვებულმა პირმა უზრუნველყოფს საფეხბურთო კლუბში ყოველწლიურად არანაკლებ 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება. აღნიშნული ინვესტიცია მოიცავს: ფეხბურთელების და სხვა დასაქმებულ თანამშრომელთა ხელფასით უზრუნველყოფას, ეკიპირების, მივლინებების, შეკრებების, ფეხბურთელთა მკურნალობის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხარჯებს, ამხანაგური თამაშების, საოპერაციო ხარჯების დაფინანსებასა და სხვა ხარჯებს, რაც მიმართული იქნება კლუბის განვითარებისათვის. ხოლო 29 წლის ვადაში განახორციელოს 4 350 000 (ოთხი მილიონ სამასორმოცდაათიათასი)

ლარის ოდენობის ინვესტიცია;

კ) მართვის უფლების მიღებიდან ყოველი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს სერტიფიცირებული აუდიტის (შემფასებლის) დასკვნა ყოველწლიურად განხორციელებული ინვესტიციის (150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის) თაობაზე;

ლ) გამარჯვებულის მიერ აუქციონის პირობების ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში არამატერიალური ქონება (წილი) უბრუნდება მესაკუთრეს - ქედის მუნიციპალიტეტს ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე.

7. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის, მართვის უფლებით 29 წლის ვადით გადაცემისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2-ის (თან ერთვის) შესაბამისად.

8. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2023 წლის 15 აგვისტოს 16:00 საათზე და სრულდება 2023 წლის 25 აგვისტოს 16:00 საათზე.

9. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

10. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურს (გ. წითელაძე) უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge.

11. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ სამსახურს (ბ. სურმანიძე) წინამდებარე ბრძანება (პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსს ს. ბოლქვაძეს.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

14. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 15 აგვისტოდან.

როლანდი ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი